საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. ვ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.02.23

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 011/23

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ნ. წ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. წ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2023 წლის 6 თებერვალს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. ვ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. წ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო 2023 წლის 21 და 27 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაში. მომჩივანს პრეტენზია აქვს სისხლის სამართლის საქმეზე, პროცესუალურად დაპირისპირებული ინტერესის მქონე მხარის ადვოკატის, ნ. წ.-ის მიმართ. როგორც საჩივრის ავტორი განმარტავს, ვ. ვ. იყო მისი შვილი, რომელსაც დაზარალებულის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული სისხლის სამართლის საქმეზე №---. ადვოკატი ნ. წ. მიმდინარე საქმეში იყო ბრალდებული ლ. გ.-ს ადვოკატი.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, გ. ხ.-ს და ლ. გ.-ს ბრალი ედებოდათ ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობაში, ორი ან მეტი პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე. მოსამართლემ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, რის შემდეგაც მალევე გარდაიცვალა, დაზარალებულად ცნობილი, ვ. ვ..

1.4 საჩივრის თანახმად, ნ. წ.-მა სასამართლო განხილვის დროს, ვ. ვ., არაერთხელ მოიხსენია როგორც ნარკოტიკული საშუალებების რეალიზატორი - „ბარიგა“, რაც მომჩივანის განმარტებით, არღვევს უდანაშაულობის პრეზუმციას, რადგან მსგავსი ფაქტის შესახებ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება ან სხვა რაიმე კანონის შესაბამსად გაცემული დოკუმენტი. გარდა ამისა, ვ. ვ.-ის დაკითხვისას, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატები ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდნენ მასზე, დასცინოდნენ და ცინიკურად მიმართავდნენ, საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატების ქმედებბემა, მისი შვილი „უღირს ადამიანად გამოიყვანეს“

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. წ.-მა სცადა მოწმეებზე ზემოქმედება და მათთან კომუნიკაცია სასამართლო პროცესამდე, რათა დაკითხვისას მისთვის სასურველი ინფორმაცია მიეღო და მოწმეებს ჩვენებები შეეცვალათ.

1.6 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატის მიერ პროცესზე გაკეთბული განცხადებებით - თავისი შვილის „ბარიგად“ და „ბლუყუნად“ მოხსენიებით, შეილახა მისი და მისი ოჯახის ღირსება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2023 წლის 15 თებერვალს, ადვოკატმა ნ. წ.-მა წარმოადგენდა წერილობითი ახსნა-განმარტება, ხოლო 2023 წლის 7 მარტს მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის დისტანციურ სხდომაში. ადვოკატის განმარტებით, იგი ნამდვილად იყო სისხლის სამართლის საქმეში №--- ბრალდებული, ლ. გ.-ის წარმომადგენელი, რომლის პროცესუალური ინტერესებიც ეწინააღმდეგებოდა მომჩივანის შვილის, დაზარალებულად ცნობილი ვ. ვ.-ის ინტერესებს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი, ლ. გ.-ის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეზე გამოკითხულმა დაზარალებულმა ვ. ვ.-მ და მისმა მეგობრებმა, ასევე საქმეზე გამოკითხულმა არაერთმა ნეიტრალურმა პირმა/მოწმემ, მათ შორის საქმის მთავარმა გამომძიებელმა და დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას თავად სახელმწიფო ბრალმდებელმა დაადასტურეს, რომ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეზე კონკრეტულ პირთა შორის კონფლიქტი და უსიამოვნება დაიწყო მას შემდეგ, რაც ვ. ვ.-მ ნარკოტიკის შეძენის მიზნით გადარიცხული თანხა მოსთხვა საქმეზე გამოკითხულ გ. ღ.-ს და მისგან მიიღო უარი. უარის მიღების შემდეგ კი ვ. ვ.-მ გადაწყვიტა გ. ღ.-ის დასჯა და მისგან პასუხის მოთხოვნის მიზნით სავარაუდოდ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღებით შეიარაღებულ პირებთან ერთად მიაკითხა გ. ღ.-ს.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ მათ არაერთხელ ჰკითხეს მთავარ გამომძიებელს, გამოძიების ფარგლებში მოხდა თუ არა სისხლის სამართლის საქმეში, დაზარალებულად ცნობილი ვ. ვ.-ის დანაშაულებრივი მოქმედებების შესწავლა, პასუხად კი მიიღეს, რომ გამოძიებას ამ კუთხით არ უმუშავია. ადვოკატის განმარტებით, ამ და სხვა გარემოებებმა, განაპირობა, რომ სასამართლო პროცესზე ადვოკატებმა დაამტკიცეს ლ. გ.-ისა და გ. ხ.-ის უდანაშაულობა.

2.4 ადვოკატი უთითებს, რომ დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა პირთა მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი მოქმედებების სამართლებრივ შეფასებას და სწორედ ამ კონტექსტში მიუთითა სასამართლოს, რომ დაზარალებულმა პირებმა პირადად ვერ შეძლეს ნარკოტიკული საშუალების ღირებულების მიღება და სასამართლო ხელისუფლების გამოყენება გადაწყვტეს, ბრალდებულის დასასჯელად.

2.5 ადვოკატი ზუსტად ვერ იხსენებს გამოიყენა თუ არა ტერმინი „ბარიგა“, თუმცა, განმარტავს, რომ აღნიშნული სიტყვის გამოყენების შემთხვევაშიც კი, მისი დასკვნითი სიტყვის საერთო

სულისკვეთების გათვალისწინებით, მსგავსი შეფასება მიმართული არ იქნებოდა პირის შეურაცხყოფისკენ, რადგან ის თავის დასკვნით სიტყვაში პირთა დანაშაულებრივი ქმედებს აღწერიდა და მოწმეთა ჩვენებების სანდოობის ეჭვ ქვეშ დაყენების გზით უზრუნველყოფდა თავისი კლიენტის ინტერესების დაცვას. რაც შეეხება, მომჩივანის პრეტენზიას, ადვოკატის მიერ, თავისი შვილის, სიტყვა „ბლუყუნად“ მოხსენიებას, ადვოკატი მსგავსი ეპითეტით მოწმის მოხსენიებას ცალსახად გამორიცხავს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. წ. არის სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 მოქალაქე გ. ვ.მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 6 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წლის დეკემბერში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ნ. წ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილის გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ნ. წ.-მა სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულად ცნობილ ვ. ვ.-ს, გ. ვ.-ის შვილს, სასამართლო განხილვის დროს მიმართა დამცინავად და ცინიკურად, ფრაზით „ბლუყუნა“, ასევე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდა მასზე და დასკვნით სიტყვაში მოხსენია, როგორც „ბარიგა“, ადვოკატმა მოახდინა ვ. ვ.-ის დისკრედიტაცია და შეურაცხჰყო მისი პატივი და ღირსება.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. წ.-ის მიერ შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5 “გ“).
>
> ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 9.4).

5.3 ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში. კლიენტის ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით, ადვოკატის ნებისმიერი ქმედება, იქნება ეს პირის წარმომადგენლობა სასამართლოში; სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა;

წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ ორგანოებთან თუ კლიენტის მოპასუხე მხარესთან მოლაპარაკების წარმოება - წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2). ადვოკატის საქმიანობა მოიცავს კლიენტისადმი არსებული ვალდებულებების კეთილსინდისიერად და კანონმდებლობის ფარგლებში შესრულებას.

5.4 საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" საქართველოს კანონით, გარანტირებულია აზრისა და გამოხატვის თავისუფლების უფლება. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და ის შეიძლება შეიზღუდოს, დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერი მიზნების მისაღწევად - სხვათა ღირსებისა და პატივისცემის ვალდებულების დასაცავად. ადვოკატები სხვა მოქალაქეების მსგავსად სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, თუმცა, ადვოკატის შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების უფლების მოქმედება განხილული უნდა იყოს ადვოკატის პროფესიული რეპუტაციისა და საერთო კორპორაციული ინტერესების უზრუნველყოფად არსებულ მის ვალდებულებებსა და ადვოკატის, როგორც კლიენტის უფლებადამცველის უფლებებთან თანადროულად. შესაბამისად, ადვოკატის მხრიდან პროცესის მონაწილის პატივისცემის ვალდებულების დარღვევის შეფასებისას გასათვალისწინებელია, როგორც, ადვოკატის - მართლმსაჯულების განმახორციელებელი პროფესიის წარმომადგენლის ვალდებულებები, ასევე მისი გამოხატვის თავისუფლების უფლება და კლიენტის ინტერესების დაცვისას მოქმედი მისი, როგორც ადვოკატის „იმუნიტეტი" (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38.4 მუხლი).

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ სიტყვიერი შეურაცხყოფა გულისხმობს სხვა ადამიანის დამცირების, პატივისა და ღირსების შელახვისკენ მიმართულ, ზეპირი ფორმით გამოხატულ უხამს განცხადებას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ხშირ შემთხვევაში, პიროვნებისთვის სუბიექტური თვალსაზრისით „მორალური ტანჯვის გამომწვევი" განცხადებები, შესაძლებელია ობიექტურად არ იყოს შეურაცხყმყოფელი ხასიათის და არ შეიცავდეს უხამსობას ანდა ცილისმწამებლურ ფატქტებს და ჯდებოდეს კანონით დაცულ გამოხატვის თავისუფლების უფლებაში. ამავდროულად, ადვოკატის მიერ საკუთარი კლიენტის ინტერესების დაცვისას, გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში, ადვოკატის მიერ გაკეთებული განცხადებების შეფასებისას აუცილებლად გასათალისწინებელია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ადვოკატის დაცვის გარანტიები, რომლის მიხედვითაც ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა, აქვე უნდა განიმარტოს, რომ ამავე კანონის მე-6 მუხლით არაკანონიერი ან არაეთიკური საშუალებებით კლიენტის დაცვვის დროს ადვოკატის „იმუნიტეტი" ვერ იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება.

5.6 ადვოკატმა ნებისმიერი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას განუხრელად და ზედმიწევნით, უნდა დაიცვას როგორც თავისი კლიენტის ინტერესები და უფლებები, ასევე პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის, უპირველესად მოწინააღმდეგე მხარეს. ადვოკატის უმთავრესი მოვალეობაა, ნებისმიერ გარემოებაში შეინარჩუნოს სიმშვიდე, პროფესიული ღირსება, იყოს გაწონასწორებული, და არ უპასუხოს მისი მისამართით მოწინააღმდეგე მხარის, ან პროცეში მონაწილე პირის გაკეთებულ პროვოკაციულ, დამამცირებელ განცხადებებს და პატივი სცეს თავის პროფესიულ საქმიანობას.

5.7 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z.v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა“.

5.8 ,,გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმე N 31/3/421,422)

5.9 ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატ ნ. წ.-ის მიერ, ბრალდებულის დაცვისას განხორციელებული ქმედებები და გაკეთებული განცხადებები, თავისი შინაარსით, ფორმითა და კონტექსტით, შეფასდეს, როგორც მის პროფესიულ ვალდებულებებთან მიმართებით, ასევე გამოხატვის თავისუფლებისა და ადვოკატის, როგორც უფლებადამცველის, უფლებების გათვალისწინებით, რათა დისციპლინური წარმოების პროცესში დაცული იყოს ადვოკატის როგორც პროფესიული, ასევე სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები.

5.10 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა, ნ. წ.-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე №---- სისხლის სამართლის საქმეზე, მოახდინა მისი შვილის დისკრედიტაცია, ცილი დასწამა ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობაში და უხამსი ფრაზების - „ბარიგას“; „ბლუყუნას“ გამოყენებით შეურაცხყოფა მიაყენა მას. თავის მხრივ ადვოკატის განმარტებით, მისი თითოეული მოქმედება მიზნად ისახავდა საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების უზრუნველყოფას, რაც კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდების მოწმის სანდოობაში ეჭვის შეტანის გზით მიიღწეოდა. რაც შეეხება, მოწმის შეურაცხყოფას, ადვოკატი გამორიცხავს მისი მხრიდან მსგავსი მიზნის ქონას.

5.11 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ადვოკატის მიერ, თავის კლიენტთან შეთანხმებული დაცვის სტრატეგიის სისწორე თუ შედეგუნარიანობა, ის მხოლოდ ადვოკატის ქცევას აფასებს პროფესიული ეთიკის მოთხოვნათა მიმართებით. გამომდინარე აქედან, კოლეგიამ მხოლოდ, მომჩივანის პრეტენზიის გათვალისწინებით, პროფესიულ ეთიკის ნორმებთან შესაბამისობის კუთხით შეისწავლა ადვოკატის მიერ დასახული დაცვის სტრატეგია და ყურადღება გაამახვილა საჩივრის ავტორის მიერ დასახელებულ იმ ეპითეტებზე, რომლებმაც მისი განმარტებით შეურაცხჰყო მისი შვილის პატივი და ღირსება.

5.12 საპროცესო კოლეგიამ მოისმინა №--- სისხლის სამართლის საქმის სხდომის ჩანაწერი და მომჩივანის პრეტენზიის გათვალისწინებით, შეაფასა ადვოკატის მიერ, თავის დასკვნით სიტყვაში გაკეთებული შემდეგი განცხადება: „ბოდიშით ეს ჟარგონი უნდა ვახსენო, სხვანაირად არ უხდება. ბარიგებს ვეხმარებით? პირები ნარკოტიკების რეალიზაციას ახდენენ, მერე ფულს ვერ იღებენ ამის გამო კონფლიქტში ერთვებიან, ამის გამო ჯანმრთელობას იზიანებენ და მერე ჩვენ აქ მათ მიერ მიცემული ახსნა-განმარტებების საფუძველზე პირებს ვსჯით?“. რაც შეეხება მომჩივანის პრეტენზიას, ადვოკატის მიერ თავისი შვილის „ბლუყუნად“ მოხსენიების თაობაზე, სპროცესო კოლეგიამ, სხდომის ოქმის მოსმენის შემდეგ დაადგინა, რომ ადვოკატ ნ. წ.-ს, ვ. ვ. მსგავსი ეპითეტით არ მოუხსენიებია.

5.13 რაც შეეხება, ადვოკატის განცხადებას, საპროცესო კოლეგიაამ შეაფასა ის და მიაჩნია, რომ განცხადება ჯდება გამოხატვის თავისუფლების უფლებაში, არ არღვევს პირის კანონის დაცვის ღირს ინტერესებს და მეტიც, გამომდინარეობს ადვოკატის, როგორც უფლებადამცველის უფლება-მოვალეობებიდან. ნ. წ.-მა, პირთა კონკრეტიზაციის გარეშე სამართლებრივად შეაფასა ის გარემოებები, რომლებიც პროცესზე ფაქტების სახით ბრალდების მხრიდან გაჟღერდა და თავად მოწმეებმაც დაადასტურეს. ადვოკატმა პირთა ქმედებები, რომლებიც მას რამდენჯერმე უკვე სამართლებრივად ჰქონდა შეფასებული, დაცვის ეფექტურად განხორციელების მიზნით, წინასწარი ბოდიშის მოხდით, შეაფასა იმავე ქმედებების ამღმწერი შინაარსის, მეტყველების არაფორმალური ეპითეტის - „ჟარგონის“ გამოყენებით.

5.14 ნ. წ.-ს, როგორც ადვოკატს, უფლება ჰქონდა მკაცრი კრიტიკის ფარგელბში, საკუთარი მარწმუნებლის ინტერესების დაცვის მიზნით, გამოეხატა ეჭვი პირირთა დანაშაულებრივი მოქმედებების შესახებ, რაც მომჩივანის პრეტენზიას, უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევასთან დაკავშირებით, დისციპლინური წარმოების მიზნებისთვის, კანონის დაცვის ღირს ინტერესად არ აყალიბებს. რაც შეეხება სიტყვა „ბარიგას“ ის თავისი ეტიმოლოგიით არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უხამსობად, ამასთან ადვოკატი კონკრეტულად ვ. ვ.-ის მისამართით არ საუბრობს, არამედ ზოგადად მიმოიხილავს ნარკოტიკულ საშუალებებთან ამ საქმის მოწმეთა კავშირს და მისი დასკვნითი სიტყვა, მიემართება საგამოძიებო ორგანოების მიერ, ადვოკატის აზრით, არაკომპეტენტურად, მიუკერძოვებლად ჩატარებულ გამოძიებას, ხოლო მისი ტონი, მიმართვა, გამოთქმული მოსაზრებების ფორმა და ზოგადად გაკეთებული შეფასება, მიუხედავდ იმისა, რომ ეს არ იყო მისაღები საჩივრის ავტორისთვის, მიიჩნევა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში გამოთქმულ მოსაზრებად, რომელიც არ არის უხამსი ფორმით გადმოცემული აზრი, არ სცდება პროცესის მონაწილის დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და გამომდინარეობს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის სტრატეგიიდან.რაში ჩარევის უფლებაც კომისიის კომპედენციას არ წარმოადგენს.

5.15 ნ. წ.-ს, როგორც ადვოკატს, თავისი კლიენტის მიმართ ეკისრებოდა ვალდებულება, პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე, კანონისა და პროფესიული ეთიკის დაცვით უზრუნველყო მისი ინტერესები. შესაბამისად, ადვოკატის მიერ, ბრალდების მოწმის მიერ მიცემული ჩვენების ეჭვქვეშ დაყენების მიზნით, მოწმის სანდოობაში ეჭვის შეტანა, რომელიც შესაძლებელია მომჩივანისთვის, როგორც გარდაცვლილი შვილის მშობლისთვის სუბიექტურად მიუღებელი ქმედება ყოფილიყო, გამომდინარეობდა ადვოკატისთვის კანონით მინიჭებული უფლება-მოვალეობებიდან და დაუშველია მასზე რაიმე შეზღუდვის გავრცელება.

5.16 რაც შეეხება საჩივრის ავტორის პრეტენზიას ადვოკატ ნ. წ.-ის მიერ მოწმეებზე ზემოქმედებისა და ჩვენებების შეცვლის ნაწილში. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ჩვენების შეცვლის მიზნით, მოწმეზე ზემოქმედება, სისხლის სამართლის კოდექსის 372 მუხლის თანახმად, დასჯადი ქმედებაა, ხოლო იმის შეფასება ჩაიდინა თუ არა ადვოკატმა დანაშაული, სცდება კომისიის კომპეტენციის ფარგლებს. თავის მხრივ მომჩივანს არ წარმოუდგენია რაიმე ისეთი, კანონის შესაბამისად გაცემული დოკუმენტი, რომელიც ამ კუთხით ადვოკატის არაკანონიერი ქცევის ფაქტს აღწერდა და ეთიკის კომისიას, კანონიერების პრინციპის დაცვის ნაწილში მისცემდა ადვოკატის ქცევის შეფასების შესაძლებლობას. შესაბამისად საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ის მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს მომჩივანის აღნიშნული პრეტენზია.

5.17 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ დგინდება ადვოკატ ნ. წ.-ის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლისა „გ“ ქვეპუნქტისა და

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლისა მე-4 პუნქტის დარღვევა და ადვოკატ ნუგზაე წერეთლის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.18 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს 32–ე, 33–ე მუხლებით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.2, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №011/23 ადვოკატ ნ. წ.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/